


„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-  
რადოვის სასახლეში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე  
ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზრიაში: გარეშე  
მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „ДРОБА“

უასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—  
8მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ.  
6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ., 50კ., 4 თვ.—4 მ., 3  
თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცა: კი ნაიქრა „დროების“ ღირს 5 კაპეკი.

# დროება



დღე ორშაბათს გარდა.

უასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე  
8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერ-  
დი 25 მანათი; პირველი 50 მ. რიგზე სტრიქონზე  
ნებისა ითვლება მათგან დაქვრივებისა და სხვა  
ლობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გააწარმებს და შეამო-  
ღებს დასაბუჯად გამოგზავნილ წერილებს. დაუბუჯად წერი-  
ლებს რედაქცია ვერ დაუბუჯებს ავტომატ.

Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за-  
границы принимаются только въ цент. конторѣ объявл.  
Л. Метца., Москва, Петровка, № 6.

**დროების რედაქცია** საუბრელოდ აცხადებს, რა  
**სააგენტოში** აღარ მიიღება ხელის-მოწერა ამ განთავსებულ და არც  
განცხადებები მასში დასაბუჯად. ხელის-მოწერით, ან განცხადებ-  
ების მოცემის მსურველთ რედაქცია სთხოვს ზიზღანძირ რედაქციის  
კანტორას მომართონ, (სასახლის ქუჩა, დ. სარადოვის სასახლეში).

თბილისის ქალაქის გამგეობაში კვი-  
რა-უქმე დღეების გარდა ყოველ-დღე  
დილის ათ საათიდან პირველ საათამ-  
დის მიიღება ხელის მოწერა ფულის  
შესაგროვებლად განსვენებული გენე-  
რალ-ადიუტანტის გენერალ-ოტ-ინფან-  
ტერიის მთავლის ბრძოლს დიპლ-  
რის მის ორბელინის ძეგლის ასაგე-  
ბად ქალაქს თბილისში. (3—3)

## პატიუმელების წერილის გამო

თბილისი, ივლისის 17-ს.  
უმცროსმან ძმამან შორი-შორ  
სალამი დაგიუფვეო.  
შთაა რუსთაველი.

ძვემოდ მკითხველი წაიკითხავს ბა-  
თუმელების წერილს. წაიკითხავს, მაგ-  
რამ რა გრძობით წაიკითხავს. ეს  
მკითხველის ხასიათზედ და მიმართუ-  
ლებაზედ არის დამოკიდებული. თუ  
იგი საქმის კაცია და ლამაზლამაზი  
სიტყვები უსაქმოდ ფუჭად მიაჩნია,  
სწრაფის ქენჯნას იგრძნობს; მოა-  
გონდება პირველი დრო ბათუმის შე-  
მოკრებებსა, ის დრო, როდესაც ბა-  
თუმელებს თბილისელებმა სადილი  
გაუმართეს და საუკუნო ძმობა და  
ერთობა აღუთქვეს. მოაგონდება და  
თან იმასაც არ დასტოვებს უყურად-  
ღებოდ, რომ ჩვენმა საზოგადოებამ  
ძალიან ცოტა მოიმოქმედა ამ ხალ-  
ხის გულის მოსაგებად და მათს ნია-  
დაგზედ უფრო მკვიდრად დასამყარებ-  
ლად. რა სათქმელია ის სკოლა, რომ-  
ელიც წერა-ბითვის საზოგადოებამ  
ამ მხარეში დააარსა, ან ის გრომე-  
ბი, რომელიც ჩვენმა საზოგადოებამ  
შესწირა ბათუმის მაზრის მცხოვრებ-  
ლებს შიმშილობის დროს, იმ შუშუ-  
ნა სიტყვებთან შედარებით, რომელ-  
ნიც მაშინ წარმოითქვა. მაშინ ჩვენს  
გვერდით მომსხდარს ძმებს გული გა-  
დაუშვალეთ, თანაგრძნობას დაუპირდით  
და ეს ყველაფერი გულწრფელი იყო  
და არა ცბიერებით ჩაგონებული. მაგ-  
რამ სადილი გათავდა, საქმელები შეი-  
ქმა, ღვინო დალია, ბათუმელები  
თავისას წავიდნენ და ჩვენ დაღუფლ  
ღვინოსთან ერთად გადაგვაიწყდა,

რაცა ვთქვით და ამ ქვეყანაში მოხე-  
ლებად მოექცენ იმისთანა პირნი,  
რომელნიც ჩვენმა ცხოვრებამ ქაუსა-  
ვით პირზე მოიგდო...

მხლა ბათუმელები თითონ გვაგო-  
ნებენ თავს, თვითონ გვასინიღისებენ,  
თითონ მოგვმართავენ ჩვენ და გვე-  
უბნებიან: შეგვიერთეთ, თქვენთან  
გვამოვფეო კირშიაც და ლხინშია-  
ცო,....

ნუ თუ ეხლაც ყური უნდა მო-  
ვიკრუთ, ან რომელიმე კომისია  
დავანიშნინოთ, რომელიც სამეგ-  
რელოს, ან ახალციხის კომისიისა-  
მებრ საქმეს ცხრა-კლიტულში შეინა-  
ხავს და ოც-და-ათ ორ-ოც წლობით  
უქმად ვითომ-ისაქმებს? არა და არა!  
შწინდელმა მაგალითმა მომავლისა-  
თვის ჰკუა უნდა გვასწავლოს. ძამი-  
სიებს თავი უნდა დავანებოთ და საქ-  
მე ისე მოვაწყოთ, როგორც უფრო  
ადვილად მოეწობა.

ბათუმელები ეყუთენიან ჩამომავ-  
ლობით ბურჟისა და იმერეთის მცხოვ-  
რებლებს. ბანსხვავება გვარებში ის  
არის, რომ ქართული «ძე», გამაჰმა-  
დიანების შემდეგ «ოღლი»-ად გადაუ-  
კეთებიათ და ნათლობის სახელები  
მაჰმადიანურ სახელებად შეუცვლიათ.  
სხვა არაფერი. მაჰმადიანი თავდგირი-  
ძეები, აბაშიძეები, ჯიჯავაძეები, ენ-  
ლაც მონათესაობენ ბურჟის და იმე-  
რეთის თავდაზნაურებს. მაშასადამე  
ქუთაისის გუბერნიის თავდაზნაურო-  
ბისადმი მისაწერად მათ ეკირვებათ  
მხოლოდ ის დოკუმენტები, რომელ-  
ნიც მათს ჩამომავლობას ამტკიცებენ.  
მისაც ამისთანა დოკუმენტები აქვს,  
წარუდგინოს დებუტატთა კრებას ქუ-  
თაისისას, სთხოვოს ქუთაისის თავდა-  
ზნაურობაში ჩაწერა და ეკვირ არის,  
როგორც დებუტატთა კრება, ისე  
თვით საზოგადოება მათ აღტაცებით  
მიიღებს. მისაც კი დროთა ბრუნვისა-  
გან ეს დოკუმენტები დაჰკარგვათ,  
იმათთვის საქმე ცოტა უფრო ძნელია,  
მაგრამ ეს ძნელი საქმე თვით გარე-  
მოებამ უნდა გააადვილოს:

ამ მხარეს იმოდენა ვაება უნახავს,  
ისე მოსპობილა ერთ დროს ყოვე-  
ლი ნიშან-წყალი რაიმე განათლებისა,  
რომ დოკუმენტებზედ ფიქრისათვის  
ვინ შეიწყებდა თავს! მამულების  
დოკუმენტები რომ ვერ უპოვიათ,

ჩამომავლობისა უფრო არ გაკირდე-  
ბა! მაშ რა ვქნათ? დოკუმენტები არ  
არის, მაგრამ ჩამომავლობა კი ცხა-  
დია, როგორც ნათესაური კავშირით  
ცნობილ გვარებთან, ისე გარდმოცე-  
მით. ამ შემთხვევაში ქუთაისის გუბერ-  
ნიის მარშალს მართებს თავის გამო-  
დება. მან უნდა წინ წამოაყენოს მნი-  
შენლობა ბათუმის თავდაზნაურო-  
ბის შემოერთებისა მთელის გუბერ-  
ნიის გაერთიანებისათვის, გულ-ა-ც-რ-  
ეზული ხალხის დამყარებისათვის თა-  
ვის მამა-პაპეულ ნიადაგზე და იქნება  
ამ საბუთებმა საქმრო აღარ გაჰხადონ  
უეჭველად მტკიცე ქალაქების გამო-  
ძებნა, მაშინ, როდესაც მათი ჩამო-  
მავლობა უქალაქის-საბუთებოდაც  
საბუთიანია.

მაშ მივყოთ ხელი საქმეს და სი-  
ტყუას თავი დავანებოთ. ბევრი შეუძ-  
ლიან ამ შემთხვევაში საზოგადოების  
სურვილს, ბევრი შეუძლიან ქუთაი-  
სის გუბერნიის თავდაზნაურობის  
ერთსულობასა და ერთგულობასა.  
მართლაც დასკირდება მას საკენ-  
ჭოყუთის გამოწვევა და ამისთანა სა-  
შვილიშვილო საქმის ერთმად გათე-  
ორება...

### წერილი რედაქტორთან მოწყალე კლდეწიფე, ბატონო რედაქტორო!

შმოჩილესად გთხოვთ ბათუმის  
მაზრის მაჰმადიან ქართველნი თავდა-  
ზნაური თქვენის პატრიცეზულის  
«დროების» შემწეობით გამოცხადოს  
გულითადი ჩვენი თანაგრძნობა და პა-  
ტივის ცემა ქუთაისის და თბილისის  
გუბერნიების კეთილშობილთ, რომელ-  
თაც გუბერნიის მარშლებად ამოირ-  
ჩიეს ღირსეულნი მამულისშვილნი,  
ცნობილნი, დაუღალაენი, საზოგადობ-  
რივი მოღვაწენი, ღმიტრი ივანეს ძე  
შიფიანი და ივანე მუხრანბატონი.

იმ გულწრფელს აღტაცებას, რომ-  
ლითაც მიეგება მთელი საქართველო  
ამ სამაგალითო აღმორჩევეს, ჩვენ  
გულ-წრფელად ბანს დავსძენთ და თა-  
ნავუგრძნობთ.

ჩვენ, გამაჰმადიანებულნი ქართველ-  
ნი კეთილშობილნი ბათუმის მაზრისა,  
გმაღლობთ უზენაესს განგებას, რო-  
მელმაც ორასის წლის შემდეგ ისევ  
შეგვყარა საქართველოს სახელოვან  
კეთილშობილებთან, ჩვენს ღვიძლს  
ძმებთან. ბულწრფელად ვაღვიარებთ,  
რომ გულით, სულით, მთლად ჩვენი  
არსებით ვეკუთვნივთ აღნიშნულს წო-  
დებს კირშიც, ლხინშიც, ავშიც და  
კარგშიც.

ამ წნეობრივს კავშირთან საქმროა  
ფორმალური, ოფიციალური კავში-  
რიც: ჩვენ გვსურს რომ ჩვენც მიწე-  
რილნი ვიყვნეთ ქუთათურის გუბერ-  
ნიის თავდაზნაურობასთან.

სრული იმედი გვაქვს, რომ ღმიტ-  
რი ივანეს-ძე შიფიანი იშუამდგომლებს  
სადაც ჯერ არს, რომ ჩვენც მიგვაწე-  
როს ქუთაისის გუბერნიის კეთილშო-  
ბილთა წოდებას, რათა მათთან ერთად  
შედგების და გვარად ჩვენც ვემსახუ-  
როთ იმ წმინდა დანიშნულებას და  
მოვალეობას, რომელიც ხელმწიფე  
იმპერატორმა უმაღლესად დაუნიშნა  
საზოგადოდ მთელი იმპერიის თავდა-  
ზნაურობას უმაღლესის რესკრიპ-  
ციით.

ხუსეინ ბეგ სანჯაგ ბეგ ზადე ახაშიძე,  
იბრაჰიმ ბეგ სანჯაგ ბეგ ზადე ახაშიძე.  
ხუსეინ ბეგ ახაზადე  
ბიბინ ზადე დურსუნ ბეგ გუსეინ ეფენ-  
დი ვარაღაზადე ზაქარაძე.  
გუსეინ ეფენდი კარა ალა ზადე ზაქა-  
რაძე.  
ხასან ალა ქიქვა ზადე,  
ესეთ ალა ლონკროზადე (მარადიფე-  
ლი).  
ოსმან ალა მუფთი ოღლი.  
ალი ალა ჯედი ოღლი (ჩურუქსეელი)  
(მაქანლიდგან) ოსმან ალა მაშია ზადე.  
ქიქვა მეშედ ალა.  
ფალავა თაირაღა.  
გვარედ ოღლი ალი-ალა.  
ახდი ალა ზადე ყედირ ალა.  
იბრაჰიმ ალა ელი ოღლი  
არიფ ალა ახდი ალა ზადე.  
გვარედ ზადე ხუსეინ ალა (მაქან-  
ლიდგან).  
თოფალ ოღლი ხასან ალა.  
ჩელე ალა ზადე ხასან ალა (ჩიხავაძე).  
ქ ბათუმა.  
ივლისს 8 ს.

### შინაური ქრონიკა

ესე რამდენიმე პირმა გვეითხეს და  
წერილითაც მოგვმართეს, — რა მიზე-  
ზია, რომ ქალაქის გამგეობის განც-  
ხადება დაფასების ფულის შეტანის  
შესახებ ამ გამგეობის კასაში ყველა  
რუსულ და სომხურ გაზეთებში და-  
იბეჭდა და «დროებაში» კი არაო.  
ნუ თუ ქალაქის გამგეობა საქმროდ  
არა სთვლის, რომ ქართულ გაზეთ-  
შიაც გამოაცხადოს, რაც გამოსაცხა-  
დებელი აქვს და თბილისის ქართვე-  
ლობასაც შეატყობინოსო. ეს ამბავი,  
მართლა რომ კაცს გააოცებს, მაგრამ  
ჯერ-ჯერობით ამ გარემოების მიზე-  
ზად თვით ქალაქის გამგეობას ვერ  
დავასახელებთ. ქალაქის გამგეობა ყო-  
ველ თავის განცხადებას უგზავნის შა-  
ვერდოვის სააგენტოს და ეს უკანასკ-  
ნელი კისრულობს განცხადებების გავ-

ზაენას ყველა რედაქციებში, მაგრამ როგორ კისრულობს! ზერ აბეჭდვინებს რუსულად და შემდეგ რუსულის გაზეთიდან ამოჭრილს ჰგზავნის ქართულსა და სომხურს გაზეთებში. ამ შრომისათვის, ე. ი. მაკრატლის ვაკრისათვის ბ. შავერდოვი იღებს 20%, ასე რომ, მაგალითად, უკანასკნელი განცხადების გაზეთებიდან ამოჭრაში მას უნდა მიეღო 50 მან. და თითო რედაქციას კი 40 მან. ესეთი ძიარისისებული ცარცვა შავერდოვისთანა სულ დგმულისაგან ვერ ვიკისრეთ და შევუთვალეთ მას შემდეგი: ა) ყველა რედაქციებში ერთ დროს ეგზავნა განცხადებები, რომ ყველგან ერთსა-ღამივე დროს დაბეჭდილიყო და ბ) კომისიისათვის 5%-ს დასჯერდებოდა. მუ ამაზედ არ დასთანხმდებოდა, ჩვენ უარი ვსთქვით მის კომისიაზედ და გამოეუცხადეთ, რომ აღარც განცხადებას მივიღებდით მისგან, არც ხელის-მოწერას. ბ. შავერდოვს თუმცა პირობებზედ უარი ეთქვა, მაინც კიდევ ფული გამოეგზავნა და შემოეთვალა, ეს ოთხი თუმანი მიიღეთ და თუმანი მე მერგება საკომისიო. ჩვენ, რასაკვირველია, ფულიც უკანვე დავუბრუნეთ და განცხადებაც და ქალაქის გამგეობას კი შევატყობინეთ, რომ თუ საქირად ჰხადის განცხადებების ბეჭდვას «დროებაში», პირ-და-პირ რედაქციას უგზავნოს იგინი უშავერდოვად. ზერ იმედი გვაქვს, რომ გამგეობა ჩვენს სურვილს მიიღებს მხედველობაში, რადგან ჩვენ მხოლოდ ის გვინდა შუა-კაცები ავიცილოთ იმისთანა საქმეში, რომელშიაც იგინი სრულიად საქირონი არ არიან.

ზალუსტოვის ოთხის წლის ქალის მკვლელის თაობაზედ გამოძიება გათავდა და გუშინწინ გარდაეცა ოლქის სასამართლოს განსახილავად. ძალატაზების ამქარს, რომელსაც ეკუთვნის ბავშვის მკვლელი ჯანაზოვი, არაა მიუერთმეცია მთავარ-მმართველისათვის, რომ რაც შეიძლება სასტიკად მოეპყრან დამნაშავეს.

ძართლ-ძახეთის თავად-ახნაურობას ნაბოძები აქვს ბაირალი, რომელიც ყოველთვის დეპუტატთა კრებაში იწახებოდა და მილიციის ყარაული ეყენა. როცა მილიცია პეღანის-ტანში წასვლას აპირობდა, უწინდელ გუბერნიის მარშალს შეატყობინეს, ყარაული ემოვნა ამ ბაირალისათვის. რადგან ეს ვერ მოხერხდა, ბაირალი პეღანბარში გადიტანეს და რომელიღაც პოლკის ყაზარმაშია დღემდის შენახული. მხლა, როგორც შევიტყუეთ, თ. ივანე მუხრან-ბატონი ცდილობს ამ ბაირალის გამორთმევას და უწინდელსავე ალაგას უპირობს შენახვას.

თბილისის დეპუტატთა კრების შესანახავად საქირა ფული ისე სუსტად გროვდება თავად-ახნაურობაში, რომ სეკრეტარს და სხვა მოხელეთ ეხლახანს მიუღიათ მხოლოდ წარსული დეკემბრის ჯამაგირი. ამისთანა მდგომარეობის ასაცილებლად, კრე-

ბას მიუწერია ყველა მარშლებისათვის, რომ ფიცხლად შეუდგნენ ამ ფულის შეგროვებას გაწერისამებრ.

რკინის-გზის ტენიკურ სასწავლებელში არიან როგორც ქართველები, ისე სომხები. ეს უკანასკნელნი კი სწავლობენ თავიანთ ენას, რადგან იციან, რომ შემდეგში შეიძლება სომხის პროვინციებში შეხედეთ სამსახური და უწოთ ვერას გახდებიან და ქართული ენა კი ამ სასწავლებლიდან გამოდენილია იმედი გვაქვს ამ გარემოებას მიაქცევს ყურადღებას რკინის გზის გამგეობა, რომელსაც აქვს მინდობილი ეს სასწავლებელი და ქართულს ენას სავალდებულოს გაჰხდის ქართველებისათვის მაინც

ამ საშინელ პაპანაქებაში თბილისელებს «აღექსანდრეს ბაღს» გარდა «მუშტაიდის ბაღი» აქვთ კიდევ გასასიერებლად, მაგრამ ეს უკანასკნელი მოურწყობის გამო უარეს დღეში აგდებს მოსიერნეთ. ისეთი სულის-შემხუთველი მტვერი დგება იქ, რომ ბაღის მეიდანზედ სიარული შეუძლებელია. ნუ თუ ვალად არავის აწევს მოაგონოს მეიჯარადრეს, რომ საღამოობით მოარწყვეინოს ხოლმე.

ს. წილქნიდამ იწერებინ, რომ ამას წინად იქ მომხდარა მამასახლისების ამორჩევა, მაგრამ ამორჩევას ბევრი უწესოება მოჰყოლია. ახალ მამასახლისს ვერაფრად ემაღლიერებინ. ამ ს.ოფელსაც სხვა სოფლების ქირი შეტყრია — უწყლობა წრევანდლისთანა საშინელი გვალვის გამო.

ბორის მაზრიდამ გვატყობინებენ, რომ საქონლის ქირი იქაურ სოფლებშიაც საშინლად გავრცელებულია, რის გამოც დღევანდლამდის ბევრს ერთი კალოც არ გაუღწეიაო.

თუ როგორ ძნელია გაზეთის მიღება ზოგიერთა ფოსტის კანტორებიდან, რომლებშიაც ფოსტმეისტრებს თავიანთ თავი ფადიშახი ჰგონიათ, ამტკიცებს შემდეგი მაგალითი.

ერთი ჩვენი ხელის-მომწერი, რომელსაც გაზეთის ექსპედიციიდან წესზედ ეგზავნება გაზეთი, გვწერს:

«მე გამოვიწერე სამი თვით, ესე იგი იენისის პირველიდამ ვიდრე სექტემბრის პირველამდე თქვენგან გამოცემული გაზეთი «დროება» და ფულიც წარმოვადგინე მაშინვე.

«მე მივიღე მხოლოდ შეიდი ნომერი თქვენი გაზეთისა, ესე იგი მოყოლებული იენისის 1-დან იენისის 7-მდე.

«მე თუმცა რამდენჯერმე მივმართე პირად თელავის ფოსტმეისტერს და ხუთჯერ წიგნი მივწერე და ვსთხოვე გაზეთები გამოგზავნე მეთქი, მაგრამ არაფერი ყურადღება არ მომაქცია და შემომითვალა: არ მოსულა ჯერ თქვენი გაზეთებიო.

«ბოლოს დროს იძულებული ვიყავი და მივწერე, რომ არ დავიჯერებ, ჩემს სახელობაზედ გაზეთი არ იყოს მოსული, იქნება თქვენი მწერლები სხვას აძლევდნ წასაკითხავად მეთქი; გთხოვთ, უეჭველად გამამიგზავნოთ, თორემ საჩივარს შევიტან მეთქი, მაგრამ ამაზედ ძალიან წყობა შემოეთვალა და ეთქვა სიტ ვიერად: «საცა გინდა მიიხილე, მე შენი არ მეშინიანო».

«მე მივირს, ესრეთი ქცევა ფოსტმეისტრისა ჩემთან; მე არა მჯერა, რომ არ გამოგეგზავნოთ ჩემთვის გაზეთები და თუ სხვებს ყოველთვის მოსდის, მე რაღა ვარ. მ. ს.»

წელანაცა ეთქვით რომ გაზეთი ბ. მ. ს. — წესისამებრ მიღის და უწესობა მხოლოდ ფოსტმეისტერს უნდა დაბრალდეს, რომელიც ამ გვარად ხელს უშლის როგორც რედაქციას, ისე ხელის-მომწერთა; იმედია ფოსტის გამგეობა ამისთანა თვითმხედვლობას ფოსტმეისტრისას შესაფერად დასჯის.

გაზ. „კავკას“ ატეობინებენ, რომ ხაშურისა და გომას სტანციის შორის, მე 182-ე გერსზე ვიდაც სამი გრა დასცემა რკინის გზის სტაროქს სანდრა გასდევას, დაჭრათ და მერე გაუფრცვალო.

ახალ. მიმოს. გვანდებენ, რომ ამ უმად თბილისში მცხოვრების მალაქნების უმრავი ქონება აქვს ხანაბრეს და შემოსავალი შეუჭრეს, რადგანაც პრიკაზას ვალი 180 ათასი მან. მართესთა ამის გამოისახით მალაქნების სახეგადოებას ფინანსთა მინისტრ. სთვის თხოვნა მიუცნა, რომ ამ ვალის გადასდა 37 წლით გაუნაწილოს, მაგრამ უარი მოსვლიათ. შემდეგ მალაქნებს თხოვნა პირდაპირ სემიფიფისთვის მიუთმეკიათ და შემადგამლობა უთხოვნიათ დიდის მთავრას მისეილ ნიკოლოზის მისთვის, რამელსაც ეს ქადაგებები ფინანსთა მინისტრისათვისვე გარდაუცნა. ესლა პეტრუბოვიდამ მალაქნებს ზასუსად მოსვლიათ, რომ ამ ვკარი თხოვნა თბილისის მთავარ-მმართველს საშუალებით უნდა იყოს გაგზავნილიო.

**«დროშის» კორესპონდენციები**

მუთაისი, ივლისის 12-ს მეტად დაცხა. რეომიურის თერმომეტრი აჩვენებს ჩრდილში 32° სიცხეს, სახლში კი 25°-ს. მუცელის საქმობაც ხშირია. აქ საშიში არაფერია: ამ დროს ყოველთვის სხევეთა მუთაისის მუცლის სხვა-და სხვა სენი. სიეს წყალში ბანაობა, ცივი წყლის სმა, უზომოდ ხილის ჰამა — აი მიზეზები, რომელნიც ზაფხულობით სტომასს აზიანებენ. მაგრამ «სიფრთხილეს თავი არა სტკივა»: შეიძლება უბრალო მუცელში ყვანებასაც ჰქონდეს ცუდი შედეგი, მეტადრე ყმაწვილებისათვის, და ხოლერის ლოდინი ხომ უფრო უნდა გვაფრთხილებდეს. ღლეს ხოლერაზე

მეცნიერთა სხვა-და-სხვა გამოკვლევამ მხოლოდ ერთად-ერთი უეჭველად აღმოაჩინა ამ შეუბრალებელი ქსენის შეჩერებისა, შესუსტებისა და მასობისათვის — სისუფთავე და კარგი სმა და ჰამა არის საჭიროო, ერთის სიტყვით სანიტარული და ჰიგიენური ზომები. ამისათვის მიგვიტყვიე ვისიც ჯერ-არს (სანიტარული კომიტეტის, ქალაქის გამგეობის და პოლიციის) ყურადღება ზოგიერთს ბინძურს და უწმინდურს ქუჩებზე. მეტადრე ურიების უბანს და ბალახოვანის უკანა ქუჩებს ეჭირება სასტიკი ყურადღება. მუ გაგიწყრა ღმერთი და ხოლერა გავწვა, ეჭვი არ უნდა, ყველაზე ადრე აქ მოიდგამს ფეხს. სასტიკი ზედამხედველობა ეჭირება აგრეთვე საყასბოებს. აქ თურმე ორი და სამი დღის აყროლებული ხორცი ისყიდება; ამ დღეებში ეს ჩვენის თვალთა ენახეთ. ბაუსყიდავად დარჩენილის ხორცის მეორე დღეს გაყიდვა ან სულ უნდა აღუყრძალონ, მეტადრე ამ საშიშ დროს, ან ყასბები დაევალიანონ, რომ ხორცი ცივ სარდაფებში შეინახონ. ამასაც მოგახსენებენ — მუთაისის არე-მარეში ქირი გაჩენილაო, ქირიან საქონელს იაფად ყიდულობენ და ამ საქონელს ჰხოცვენო.

მხლა სხვა საგანზედ მოგახსენებთ: შეტყობილი გაქეთ — ვილაც ფურერმა (რა ჯურის კაცია, ურიაა თუ ფრანკუზი, კაცს ვერ გაუგია) ცირკი გაგვიმართა. ამ ფურერს ბათუმიდამ და შოთილამ მადლობა უძღვნეს, თუმცა სამადლობელი ამ ვაქ-ბატონს უფრო აქვს. ცირკი ყოველ ღამე საესეა ხალხით და კოაწია ქალებიც, ცირკში მოთამაშენი, ხელს უწყობენ ბ. შერერს ხალხის ყვლევაში. ეს კიდევ არაფერი. აი რა ჩაიღინა ამ ცირკმა: ითამაშეს პანტომიმა სათაურით «ისტორიული პანტომიმა (თამარ საქართველოს მეფე)». მიაწყდა ხალხი ცირკს. მერმე რა ვნახეთ? თურმე ქართველებს ნადირობის და ქეთის მეტში ნიქი არა ჰქონიათ. უფრო შეეშოთლით და ავლელით, რა დაინახეთ, რომ თამარს უკან ვირზე მჯდომი ვილაც მასხარა კინტო მისდევდა და ვარშიყებოდა. ამ კლოუნის კინტოს გრეხას ბევრი ლაწირაკები ტაშს უკრავდენ. ამითი, რასაკვირველია, ისტორიულ პირთ ლაქი არ მოეცებათ, მაგრამ საწყენი ის არის — ჩვენს სტუმართმოყვარეობას და უხეობას ფეხით ქელამენ ვილაც მოთრეული მაწანწალა მძიერები.

ქუთათური მემეტანიკ.

სიღნაღი, ივლისის 11 ს. მისაცკი თვალ-ყური უდევნება საქართველოს გამოჩენილ ჯვარობებისათვის, ის უეჭველად შეწინაშავდა ეკლესიის ეზოებში მორეკილ სხვა-და-სხვა მრავალფრინველ და ოთხფეხთ ზვარაკ-ყურატებს; პირველებს ბიბილო აქვთ მოკრილი და უკანასკნელებს ყურები. ეს ბიბილო და ყურების დაჭრა ნიშნავს რომ საღმრთო და წმინდა,

და ჩვეულებებისამებრ უცხოც ვერაინ შეეხება, გარდა მღვდელ-დიაკონისა (მეფსალმუნე); ზოგიერთებსაც ისე აქვთ შეთქმული, რომ ეკლესიის ეზოში უნდა დაჰკლას კურატი, ანუ ზეზა, და დაურთოს სხვას. ჩვენი წინაპარების გარდმონაცემი ჩვეულება დღეობებში კურატის და ელისა და მშვიტ კმევისა რომ წმინდად და დაურღვევლად შეინახოთ, ძლიერ კარგია და სასარგებლო, მაგრამ ის კი არაფერია რომ, ერთი ბებრუხანა მკითხვეის სიტყვით, მოსჭრიან ყურს ძროხას და ბიბილოს ქათამს, წაიყვანენ და გაუშვებენ ეკლესიის კარზე (რომელზედაც მკითხვეი მიუთითებს). იმათის ფიქრით თითონ ეკლესია შეინახეს შეწირულ კურატს ანუ ზეზას საკმელ-სასმელით. ძიღვე კარგი, რომ იმისთანა ეკლესიებთან მაინც გაუშვებდნენ, სადაც გამოუღვევლად ხალხი სცხოვრობდეს. მაგრამ არა. უფრო იმისთანა ეკლესიებთან უშვებენ, სადაც არც ხალხი სცხოვრობს, არც წყალია, და ამისთანა უდაბურ ადგილას, რასაკვირველია, ესეთი შეწირულობა არც ეკლესიას არგებს, არც მღვდელს, და არც ერს; ან უნდა შეკამოს ტურამ და მგელმა, და ან მხიერ-მწყურვალს სული ამოუვიდეს.

ამ ივლისის 7-ს მე და ერთმა ჩემმა თანამოსიერნემ გავისეირეთ საღამოთი ესრედ წოდებულ «ახალ-გზაზე» ციხის გარედ. შემდეგ სეირნობისა შეგებრუნდით ქის სასაფლაოზე წმ. ბიორგის ეკლესიასთან პირ-ჯვრის დასაწერად. მიფუხლავდით ეკლესიას თუ არა, იქვე ახლო ერთ ჯვარის ძირში უკმელ-უსმელობისა და ნამეტნავად სიციხისგან ღონე წართმეული ბიბილო - მოჭრილი მამალი ეგდო. ჩვენ ავიყვანეთ და შინ წამოვიყვანეთ ზემოხსენებულ ეკლესიის დღეობამდე. დაბრუნებისას შეგვხვდა ორი ბებერი დედაკაცი, რომელთაც მწარე სიტყვები მოგვყარეს (იმათ უცხონი ვეგონეთ). ბანა ღმერთი აღარ არის, განა ასე უნდა იპარონ ჩვენი შეწირული ზეზარები ამ მ—ბმა? აგრემც გაუწყრებათ იმისი მადლი! თითი მიაშვირა ეკლესიაზე. მიფუბრუნდი მე და აუფსენ საქმე როგორც იყო: ჩვენ-კი არ ვიპარავთ, ვინსნით მშვიტ-მწყურვალობისაგან მეთქი. პარგი არ არის დედა, რომ ასე უადგილო ადგილს გაუშვებთ ხოლმე, მერე ვის სინაბარას უშვებთ? ამ ლაპარაკის შემდეგ დედაკაცებმა თითქო შეინანეს თავიანთ ნათქვამი.

პარგი იქნებოდა რომ ჩვენი მ-ები ჩაგონებდნენ ქადაგებით, და დარიგებით მრევლს, რომ ამ გვარი შეწირულება არაფის არგებს. მართალია, ცოტა ზეზარები შეუმცირდებათ, მაგრამ, ამით დიდი არა დააკლდებათ, და ბევრ პირუტყვ ოთხ-ფეხ და ფრინველს-კი დაისხნიან საცოდავად სიკვდილისაგან.

ერთი ვინმე ქართველი.

ს.ო.შ. მბუჯი, ივლისის 9-ს. სოფელი მბუჯი ეკუთვნის ზუგდიდის მაზრას, რომელსაც აღმოსავლეთით საზღვრავს ს. ჯალრა, დასავლეთით ს. ჰკალუაში, ჩრდილოეთით ს. წალენჯიხა და სამხრეთით ს. შაკენჯი და ყულის კარი. თუმცა-ლა საზოგადოდ ს. მბუჯი ვაკე და სწორი ადგილი არ არის, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ბუნებისაგან დასაჩუქრებულია: მშვენიერი ჰავა, შუაგულ სოფელში მდინარე წყალი—ქისის წყალი და სხვა ურიცხვი ანკარა წყაროები, რაც შეიძლება, ხელს უწყობენ ხალხის ჯანმთელობას. მბუჯი არის პატარა საზოგადოება, სხვებთან შედარებით, მხოლოდ 220 კომლის შეიცავს; მათ შორის 40 კომლი აზნაურნი არიან გვარად შენგელაიები; ესენი არიან მოსულნი მართლიდამ და უწინ შერვათაძეების ყოფილან, როგორც სჩანს იმ სიგელიდამ, რომელიც ბოძებული აქვთ მათ მეფე ბაგრატ დიდი და დედოფალი მლენესაგან. ამ სიგელის კოპიოს ვუგზავნი «დროების» რედაქციას, რადგანაც იგი არ არის მოკლებული ინტერესს, როგორც ძველი ხელთნაწერი და, აგრეთვე იმ დროს კანონების გასაცნობლად.

იმას მოგახსენებდით: ამ 220 კომლში 40 კომლი აზნაურები არიან მეთქი, დანარჩენნი-კი გლეხები. მცხოვრებნი მისდევნენ ხენათესვას და განსაკუთრებით სიმიდის და ღამის მოყვანას, მაგრამ იშვიათად იზოვით იმისთანა გლეხს, რომელსაც შეეძლოს იმოდენა ნამუშევარის მოყვანა, რომ თვითონაც ეყოს და ცოტა მაინც არის გაჰყიდოს, რის გამოთაც აქაური გლეხ-კაცობა მატერიალურის მხრით დაცემულია. ს. მბუჯში სხვათა შორის არის ერთი შესანიშნავი, როგორც ამბობენ, თავის სასწაულ მოქმედებით დიდი ხატი «თავაჯან ასკო-ლოსისა»; ხატი არის ვერცხლით მოქედილი, (იქნება რამდენიმე გირვანქა) ოქროში დაფერილი. იმერეთ-სამეგრელო აფხაზეთ-ზურიაში ძალიან გათქმულია მისი სახელი და ურიცხვი ხალხი მოდის სხვა-და-სხვა კუთხეებიდან მის თაყვანის საცემლად—განსაკუთრებით აგვისტოს 15-ს ეკლესიის დღეობაზედ. ადგილობრივნი მცხოვრებნი ამ ხატს უწოდებენ «ქაჩას», მაგრამ მნიშვნელობა-კი ამ სიტყვისა ჯერ არვინ იცის; არ იციან საიდან დაერქვა მას სახელია მიანი. თუმცა-ლა ხატი ასეთი შესანიშნავია და დიდი შემოსავალიცა აქვს, მაგრამ ობუჯელებს ისეთი პატარა ე-სია აქვთ (ხისა) რომ კარგი უნდა ორმოცი კაცი დაეტოვოს შიგ-ბევრჯელ, განსაკუთრებით დიდ უქმე-დღეებში, ხალხი იძულებულია გალავანში დადგეს და იქიდან უფლოს ყური.

არც სწავლის ტაძარი აქვს ამ სოფელს. ხალხი როგორცა გულ-გრილად ეკრძება სწავლა-განათლებას. მინ იქნება მიზეზი ამისთანა ცუდი მოვლენისა, თვით მკითხველი საზოგადოება მიხედება. ამას წინად ხმა

იყო, რომ მბუჯზედ უნდა მიეკრათ ს. ჯალრა და ერთი დიდი საზოგადოება შეედგინათ, მაგრამ, როგორც ხალხი ამბობს,

ეს რომ ობუჯელებმა გაიგეს კბილებიდან ცვეხლი ჰყარეს, გაცასწყურნენ და გაგულისდენ ახლის აღარ მიგვიყარეს.

—ჰო და ჯალრა რომ შემოგვიერთონ, მაშინ იმას მოგვთხოვენ, რომ სკოლა ავაშენოთ და უსიტყვის გარდასახალი ფულები დაგვემატებო. მაგრამ ყოველისფერი მეცადინეობა-ზეა. ამით (ობუჯელებს) რომ მოწინავედ თავიანთი კაცი ჰქაედეთ, რომელსაც შეეძლოს მათი დარიგება და ახსნა სწავლა-განათლების მნიშვნელობისა და მისი შედეგისა, მაშინ დარწმუნებული ვარ, რომ ობუჯელები თავიანთ სურვილით გახსნიან სკოლას; ეხლა რომ თავი ასტკიცდეთ, მკითხვებთან გარბიან, იმის მაგიერად მაშინ ექიმისკენ გასწევდენ. რადგან სიტყვამ მოიტანა—ორიოდე სიტყვა მკითხვებზედაც უნდა ესთქვა: სოფ. წალენჯიხაში გამოჩენილა ვი-დაც შაკევა, რომელიც გარდა მკითხაობისა ექიმიც არის. რა სწეული იქნება, რომ იმან არ მოარჩინოს(?). ამას წინად სოფ. წალენჯიხაში გამხდარ-იყო ავად ერთი ჩემი მეგობარი გლეხ-კაცი; ავედი იმის სანახავად. მართი საათის შემდეგ გავიხედე, მოდის ერთი ვილაც «პოდრუჩკით» ოთხიოდ გასათხოვარ ქალებთან; შემომბძანდა მარჩიელი—ექიმი. შემომხენდა ცალი თვალით, გადაჰკრა ფერმა. მისცივდენ დედა კაცები,—აბა გვიკითხე რა სჭირს ჩვენს ავადმყოფსაო; არ ვიცი, რა ნახა ჩემში—ერთი კი სთქვა, დღეს რალაც კითხვის ქეიფზედ აღარა ვარო და გაჰქრა. მოგახსენებენ, რომ ფულს ბევრს ბოჭყესო. რალა თქმა უნდა, რომ ფულს შეაგროვებს, რადგანაც თითო ბანქოს გაშლა ერთი აბაზი ღირს. საკვირველია, რატომ ყურადღებას არ აქცევენ ამ მაწანწალას; ხალხი თითქმის ისე უყურებს მას, როგორც თათრები თავიანთ მაჰმადს.

მს წერილი გათავებული მქონდა, როდესაც ერთმა ჩემმა მეგობარმა შემაძრწუნებელი ამბავი მიაშპო: დღეს, ივლისის 7-ს სოფ. წალენჯიხაში ერთს თორმეტი წლის ბიჭს (მწყემსს) მოუკლავს იმავე სოფლის გლეხი შუკია ძიძარია და დაუჭრია მძიმედ შეილი მისი.

ნიკო შენგელია.

წერილი რედაქტორთან

შარშანწინ «დროება»-ში პატარა შენიშვნა იყო დაბეჭდილი, რომ ერთი პირი მეთვრამეტე საუკუნის პოეტის ბესიკის ლექსებს აგროვებს და დაბეჭდვას უპირებსო. ამ ქამად ბესიკის ლექსების მომეტებული ნაწილი შეგროვილია და რაც უფრო მეტი შეგროვდება, მით უფრო კარგი იქნება. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ბესი-

კის ლექსები ძველადგანვე დიდის სისწრაფით იფინებოდა დაბარსისა და მალს ხალხში და ახლაც—სწავლად იმედი გვაქვს, რომ მრავალს მიგდებულს კუნძულებში და თაროებში კიდევ აღმოსჩნდება რამე და მით ჩვენც ვისარგებლებთ.

ამიტომ მიემართავ საკვლელთად ყველასა და ესთხოვ, რომ თუ ვისმეს რამ ლექსები ჰქონდეს ბესიკისა, წარმოადგინოს ქ. თბილისში ჩემს სახელობაზე; დაბეჭდვის შემდეგ ყველას დაფუბრუნებ ახლის ეგზემპლიარით. ხმები ისმის, რომ ბაბაშვილებში ბესიკის სურათიც უნდა იყოს დაცულიო; ადრე ზოგიერთებსაც უნახავთ, მაგრამ დღეს აღარ იციან ვისა აქვს და სად; კარგი იქნება, რომ ამასაც მიაპყრან ყურადღება და ეგები ესეც გადმოგვცენ, რაისათვისაც დიდი მადლობელი ვიქმნებით.

მოვალეთ ვსთელი ჩემს თავს, რომ აქვე მადლობა გადაუხადო ქართველ პროფესორად ყოფილს პატივცემულს დავით ჩუბინაშვილს, რომლისაგანაც ამ ბოლოს დროს წერილი მივიღე და საიდანაც ბევრი რამ ესცანი სრულიად მივიწყებულის ბესიკის შესახებ. ბესიკი 1791 წ. მოამკვდარა, ბულგარის ქ. იასში.

ამ ბოლოს დროს რამდენიმე ძვირფასი მასალა აღმოჩნდა ბესიკის გვარის ბაბაანთ ოჯახში, რომელთაც არ დაიშურეს და ყველა ესენი გადმოამცეს; ამ მასალებში ბევრი იმისთანა რამ მოვიპოვეთ, ახალციხეში რუისის კონსულის დასმაცე 1785 წ. და შოთში ქართველების ნავთ-საყუდელის დაარსებაზე, რომლებზედაც აქამდის არა ვიცით-რა. ბესიკს თვით უმეცადნია ამავების გამო და ამიტომაც უმოგზაურია რუსეთში.

რამდენიც ხანი გადის, იმდენი უფრო-და-უფრო იკარგება ბესიკის ლექსები და ცნობები მისს ცხოვრებაზე; ამიტომ უფრო კარგი იქნებოდა, რომ რაც შეიძლება მეტი ლექსები შეეძინოთ და მეტი ცნობები, რომელნიც საკმარისს ნათელს მოჰფენენ მეთვრამეტე საუკუნის ქართველების პოეტების ხელოვნებასა.

გამომეკეული წაქარია ჭიჭინასი.

პ. ბ. ბესიკის ლექსების ბეჭდვა სექტემბერში დაიწყება და წიგნი 1886 წლამდის გამოვა.

ტელეგრაფები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

ივლისის 15-ს.

ლონდონი. გარეშე საქმეთს საძინისტრომ ნაძვვილი ცნობების მიხედვით მსჯელის საგვ ივლის შეს ჩებ.

ჩატამი. გუშინ, როდესაც ხალხი გემში ჯდებოდა გასასვირნებლად, ბნემების მისხდგომა ადგილი ჩინგრა; 80-დინ სული წყალში ჩაგვივდა; მათ შორის ქალები და ბავშვები უფრო

